# ლიტერატურული გვერდი

ლია ჟაჟჟავაძე

* * *

ნიბლიავ —
ნაწვიმარზე გამოვალ გარეთო.
ნაწვიმარზე
შეც ბევრი მივლია.
გვქონია რაღაცა საერთო,
— პატარა ნიბლიავ!..

## დ ა ლ ი

თეთნულდზე
ჭიხვებს
მისდევს და მიიმღერის დალი.

სალია გზა წინ,
თეთნულდზე
თოვს და წვიმს...

თოვლივით თეთრია მხრებშიშველა
ქალი,
ცივა... და არა სცივა,
მირბის და...
იცინის დალი.

ჯუმბერ ტიკარაძე

## მ ე ე ზ ო ვ ე

აქვს გრძელი ცოცხი და ფართო
ულვაშები,
წელში მოხრილია ოდნავად ის,
დგება რიჟრაჟამდე,
დადის ქუჩა-ქუჩა,
დადის ეზო-ეზო,
დადის და გვის,

დადის და გვის და დღეები მიდიან...
ქუჩა ხან მშვიდია,
ხან ქარი ქრის,
...და ის მეეზოვე,
დინჯი მეეზოვე
დადის და გვის,
დადის და გვის.

## ბ ე ლ უ რ ე ბ ი

ბელურებია ხეებზე ისევ,
მათ უხარიათ სითბო და სივრცე,
მათ უხარიათ სილაღე ქართა,

...და აღარ ახსოვთ იმ დღეთა ბინდი,
როცა გადურჩნენ თოვლიან ზამთარს,
როცა გადურჩნენ ხეებზე სიკვდილს.

გიორგი საითიძე

## წ ყ ა რ ო ს თ ა ნ

პიტალო კლდე
და წყლის ღარი,
ვით მამონტის ეშვი...
მწყურვალ ვიყავ,
დახალევად

შევუშვირე პეშვი.
შევსვი,
წამსვე შევიგრძენი
საქართველოს ეშხი,
და მამულზე სიმღერების
ზღვაში გადავეშვი.



ზამთრის ღამე ჩემს ფანჯარასთან

ფოტოეტიუდი ჟურნალისტიკის განყოფილების V კურსის სტუდენტის ლ. კიკნაძისა.

ლალა გორდაძე

## დაცვარული ვარდი

1948 წლის ზაფხულში, მოგზაურობის დროს ბალყარეთის მთე-ბში შემთხვევით წავაწყდი საფლავს, რომელზეც ხის ბოძი იდგა და ბოძზე ქართული ასოებით ამოჭრილი იყო ერთი სიტყვა—„მამა", ვერ გავიგეთ ვინ იყო ან როდის დაიღუპა იგი: საფლავი გადავწმინდეთ, მხოლოდ ვარდი დავტოვეთ და ველის ყვავილებით დავფარეთ საფლავი.

ომის ქარიშხალით გაგლეჯილი მიწა,
ცეცხლით დადაღული, ისევ ბინდში
იწვა.
შეიმშუშნა ნისლი ბალყარეთის მთებზე,
მთებმა თებერვლისამ დაიბერტყა კალთა
და არწივის ფრთებზე
ქარი აშრიალდა.
აციმციმდა სხივი,
ვით იშვიათი მძივი
მარგალიტის თვალთა,
დუმს საფლავი მკაცრი,
ქარი სილას აცრის,
რა ცივა, ცივი,
ფიქრმა წლები თვალა,
თვალა ვერ დათვალა,
არვინ იცის არა,
მამა-მეომარი მთებს ვინ მიაბარა.

აგრიალდნენ მთები,
აზმაურდა თერგი;
— ჩავიკარით მკერდში
შვილი გმირთა-გმირი,
ვინც დაგვიცვა სისხლით,
ვინც გმირობის ცეცხლით
დღემდე ჩვენთან იწვის,
მშობელ დედის ცრემლი
გამარჯვებულ ვაჟკაცს,
სამშობლოსთვის გაზრდილს,
დილის ვარდად აწვიმს.
ფუალერხე ბალახს, მისი გულის ნაწილს,
გადავწმინდე ფრთხილად ნარ-ეკალის
ბარდი,
რისხვად მოვევლინე შავი ომის აჩრდილს
და დავკოცნე ერთი დაცვარული ვარდი,
გმირი ჭარისკაცის მკერდზე
ამოზრდილი.

მაიკლ გოლდი

მაიკლ გოლდი, გამოჩენილი ამერიკელი მწერალი—კომუნისტია. მან პირველმა ჩაუყარა საფუძველი პროლეტარულ ლიტერატურას ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ლექსში—„120 მილიონი" პოეტმა ერთმანეთს დაუპირისპირა ორი ამერიკა—ამერიკა კაპიტალისტებისა და ამერიკა მუშებისა და ფერმერების. იგი გამოთქვამს რწმენას, რომ გაიმარჯვებს ამერიკა მუშებისა და ფერმერებისა, თუ იგი წავა ლენინის მიერ ნაჩვენები გზით.

## 120 მ ი ლ ი ო ნ ი

შეუბნებიან, შევიყვარო ამერიკა —
სამშობლო ჩემი.
მაგრამ სად არის იგი?
ოკეანეთა შორის ხეტიალში ჯერ მე ასეთი
არ შემხვედრია.
ვნახე 120 მილიონი.
მათ სძულთ ერთმანეთი,
ულეტენ ერთმანეთს
ბრძოლაში—ფულისათვის,
არსებობისათვის.

ამერიკა არ არის ერთი,
ის უამრავია.
თეთრკანიანი ცოცხლად სწვავს ზანგებს,
ფაბრიკის მეპატრონე წკეპლავს პატარებს,
ხვრეტენ მაღაროს მუშებს,
ხვრეტენ ფეიქრებს.
მტარვალთა მიწაა იგი.

ვნახე მზე, ამომავალი, კლდოვანი მთების თავზე,
ვნახე ხორბლის მინდვრების ნათელი სიკაშკაშე,
ვნახე მილიონობით ამერიკული ყვავილები
და მოვისმინე ფრინველთა სტვენა.
ეს ძლიერი და ლამაზი მიწაა,
მე, ბედშავ მუშას, ასე ძლიერ რომ შემყვარებია
და თქვით, შევძლებ კი ვიმეგობრო მკვლელი მოძმეთა?!

ო, ამერიკავ!
არ შემიძლია თაყვანი ვცე შენს ფულის ღმერთებს,
ურჩხულს, რომელსაც
გულის ნაცვლად ფორდის მანქანა უდევს,
რომლის გონება წარმოადგენს
იაფ სურათს ჰოლივუდისას,

რომლის ქალაქებშიც არის კოშმარი,
და ლოცულობენ,
რათა ჰქონდეთ ქურქი ბეწვის და წინდა აბრეშუმისა;
ფულის ღმერთები იღუპებიან გაუმაძღრობით,
ხოლო ზვარაკი იღუპება შიმშილისაგან.

ნეტა ვინ აწამა საკო და ვანცეტი?
— შენ არა, მდინარე მისისიპო!
ვინ სტაცებს ქვეყანას ოქროებს?
— შენ როდი, ალეგანის მთებო!
ეს არის ძლიერი და ლამაზი ხმელეთი,
მაგრამ ქვეყნიერებას სძულს ეს მტარვალი.
ევროპა და აზია ბრძოლისათვის ემზადება,
მოვა ნგრევა, დამარცხება და მწუხარება
შენთვის და შენზე, მსუქანო ამერიკავ,
და ამ ასოც მილიონს შორის გაივლის ლენინი,
ადრე თუ გვიან, ლენინი გაივლის,
დიახ, ლენინი!
ლენინი მოვა.

ვნახე ხანძარი და ფერფლი,
ნაცრიდან ამდგარი სამშობლო ჩემი.
ვნახე მშვიდობა ასოცი მილიონისთვის,
ჩაქუჩს და ნამგალს ვუცქერდი ყოველდღე,
ჩაქუჩს და ნამგალს ვხედავდი ყოველღამ.
თავს დანათოდა იგი ამერიკას,
ახალ ამერიკას—მუშებისას და ფერმერებისას.

ინგლისურიდან თარგმნა ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების II კურსის სტუდენტმა **ზურაბ ბოცვაძემ.**

ავთანდილ გურგენიძე

## წვა ლექსის წერისას

ფიქრებში გავერთე,
ცეცხლივით ავენთე, —
ვივიწყებ ყველაფერს, ყველას...

ოცნებას სანუკვარს,
ხმაური არ უყვარს,
გული კი ზღვასავით ღელავს,

სისხლი რად ხურდება,
შემბოჭეს ხუნდებმა —
ხმა მესმის უცნაურ მარშის.

როს გული მიღელავს,
როს მინდა სიმღერა —
მუნჯი ვარ, მუნჯი ვარ მაშინ!

ფიქრებით დავთვერი,
ბევრი მაქვს სათქმელი,
ვინ ისმენს უსიტყვო ღაღადს?...

ძმობას ვინ გამიწევს, —
ვასველებ კალმის წვერს:
სიმღერას ვაჩუქებ ქაღალდს!



ილუსტრაცია დავით კლდიაშვილის მოთხრობისათვის — „სოლომონ მორბელაძე".

ლინოგრავიურა **რევაზ გაბრიაძისა.**

## გზაზე ერთმანეთს შემოვხვდით...

გზაზე ერთმანეთს შემოვხვდით,
იმ ბილიკს ვენაცვალები, —
მზის ბრწყინვალებას ჩემობდნენ
შენი გიზგიზა თვალები...

თელებს თელავდა მთის ქარი,
ირგვლივ ბუნებას ეღვიძა...
— გამარჯვებათ! — მითხარი.
ენაც დამება, — ფეხიცა.

თვალებით მშვენელს ვეძებდი,
რად მიმაჭაჭვე მინდორთან? —
ერთ ღიმილს გაიმეტებდი,
თუ გამარჯვება გინდოდა!...

